

ნათელა ჩიტაური  
შორენა შამანაძე  
(საქართველო)

### იდენტობათა რეკონსტრუქციები და ალტერნატივათა ძიება ქართულ ინტერკულტურულ-მიგრაციულ ტექსტებში<sup>1</sup>

თანამედროვე სამყარო უამრავი ახალი გამოწვევის წინაშე აყენებს კაცობრიობას. ინტერნეტის და სოციალური ქსელების წყალობით იშლება მენტალური საზღვრები და მცირდება გაუცხოება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებთა შორის. დღევანდელი საზოგადოება ხასიათდება მიგრაციული მოძრაობებით და გლობალური დაქსელვით. ეს იწვევს კულტურული კომუნიკაციის ზრდას, ურთიერთობების ინტერნაციონალიზაციას ბიზნესში, მეცნიერებასა და ხელოვნებაში, ცხოვრების ყველა სფეროში.

არნახულად გაზრდილი ინფორმაციული ნაკადების ფონზე ინდივიდებისათვის უაღრესად გართულდა საკუთარ თავში გარკვევა და გარემოში ორიენტირება.

ყოველივე ეს უპირველესად იდენტობებზე აისახა: კულტურული მრავალფეროვნება საკუთარი თავის მხოლოდ ერთი კულტურის ფარგლებში განსაზღვრის იდეას ცვლის იდენტობის მოქნილი, მუდმივად ახლად ჩამოყალიბებული აღქმით. „გასტარბაიტერების იმპორტმა ... სამუდამოდ შეცვალა ყოველდღიური ცხოვრება და მასპინძელი ქვეყნების კულტურა“ (Schlögel 2008: 109).

კულტურათა კვეთაში, ერთი მხრივ, ადამიანები მეტად დაინტერესდნენ საკუთარი თვითმყოფადობით, წარსულით, მეორე მხრივ, იზადება ახალი იდენტობებიც, იკვეთება იდენტობათა ძიების სიცოცხლისუნარიანი დინამიკა.

---

<sup>1</sup> წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობა ახალი „Weltliteratur“-ის ჭრილში და ნაციონალური იდენტობა“ (პროექტის N DI-18-965) ფარგლებში შესრულებულ კვლევას.

დღევანდელობამ იდენტობათა განსაზღვრისა და შესწავლის პროცესში კიდევ ერთი კორექტივი შეიტანა: თუ დღემდე უფრო მეტად გახმოვანებული იყო და მეცნიერებიც იკვლევდნენ ნაციონალურ, სოციალურ იდენტობებს, დღეს აღნიშნულ ფენომენებს განსაზღვრავს პიროვნულ იდენტობათა მოდიფიკაციები, რომლებიც ინდივიდისა და გარემოს ინტერაქციის პროდუქტია.

იდენტობის რეკონსტრუქცია პროცესია: პირველ ეტაპზე იგულისხმება განსხვავებების დანახვა, რაც განპირობებულია სხვადასხვა კულტურული ცოდნითა თუ კულტურული პრაქტიკით. შემდეგ ეტაპზე კი – განსხვავებათა შედარება და ამის საფუძველზე საკუთარი თავის შეფასება, რაც საკუთარი იდენტობის რეკონსტრუქციასაც არ გამოორიცხავს.

ამ საყოველთაო დეზორიენტაციისა და ინფორმაციული წნეხის, იდენტობათა ასეთი მრავალფეროვნების პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიგრაციის პირობებში საზღვარგარეთ შექმნილ ტექსტებს.

თუ გადავხედავთ ბოლო ორი ათწლეულის მიგრაციული ლიტერატურის ევროპულ დისკურსს, აღსანიშნავია ამ სახის ლიტერატურის დეფინიციათა სიმრავლე: ინტერ/ტრანსკულტურული, მიგრაციული, პოსტმიგრაციული, ტრანსარეალური, დიასპორული, ჰიბრიდული, მულტილინგვისტური, მოძრაობის / დევნილობის (exil) / ადგილმონაცვლე პირთა, სამყაროთაშორი (Writing-between-Worlds) და სხვა. თუმცა ბოლო პერიოდში მას სულ უფრო და უფრო ხშირად მოიხსენიებენ ასე: „ახალი Weltliteratur“. ეს პოზიცია მოდის ჰომი ბჰაბჰას მიერ გოეთეს Weltliteratur-ის ახლებური აქტუალიზაციიდან. თავის ნაშრომში „The Location of Culture“ ჰომი ბჰაბჰა წერს: „მსოფლიო ლიტერატურის შესწავლა შეიძლება იყოს შესწავლა იმისა, თუ როგორ ცნობენ კულტურები საკუთარ თავს „განსხვავებების“ მეშვეობით“ (Bhabha 1994:75). ოტმერ ეტტე აღნიშნავს, რომ ახალმა მსოფლიო ლიტერატურამ ეს ნარაციისა და პოეტიკის სტრუქტურულ დონეზეც უნდა ასახოს (Ette 2005:42).

მიგრაციული მწერლობის „ახალ Weltliteratur“-ად სახელდების მთავარი არგუმენტი არის ის, რომ მიგრაციის ლიტერატურა უკავშირდება გლობალიზებულ სამყაროში ყოველდღიურ ყოფას და ეს ვლინდება განსხვავებულ კულტურათა კავშირისა და მრავალენოვანების რეალურ კონტექსტებში. ამავე დროს „ახალი Weltliteratur“-ის მთავარ მახასიათებელს – კულტურათაშორის „მესამე სივრცეს“ უმთავრესად საზღვარგარეთ შექმნილი ტექსტები ქმნის.

„ახალი Weltliteratur“-ის იდეა განავითარა და სისტემად ჩამოაყალიბა ელკე შტურმ-ტრიგონაკისმა, ეს იდეა მეცნიერებს სთავაზობს ახალი პერსპექტივიდან განიხილონ მიგრაციული ლიტერატურის ადგილი და გვერდი აუარონ კამათს იმის შესახებ, ეკუთვნის თუ არა ესა თუ ის ლიტერატურა ამა თუ იმ ნაციონალურ მწერლობას.

ქართველ მოღვაწეთა მიერ საზღვარგარეთ, ასევე მიგრაციულ თემებზე შექმნილ ტექსტებს ჩვენმა სამეცნიერო ჯგუფმა უწოდა **ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობა**. თანამედროვე ქართული მენტალურ-ლიტერატურული სივრცე აღარ კმაყოფილდება მხოლოდ პოსტსაბჭოური სინამდვილისა და 90-იანი წლების ტრავმის აღწერით. მისი განვითარების დინამიკა მიმართულია თანადროულ დასავლურ სივრცეში ჩაწერისაკენ, რაშიც გადამწყვეტ როლს თამაშობს საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ ავტორთა შემოქმედება ან ტექსტები, რომლებშიც მიგრაციული თემები, სხვადასხვა კულტურის შეხვედრაა ასახული. ეს მწერლობა, როგორც „ახალი Weltliteratur“-ის მესამე სივრცის ნაციონალური გამოვლინება – ყოველდღიურად ქმნის ახალ რეალობას და მისი კვლევის დაწყება დღეს მნიშვნელოვანია.

ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობის თვისობრიობა, მით უმეტეს, იდენტობათა რეკონსტრუქციებისა და ალტერნატივათა კვლევა ამ ლიტერატურაში, უკვე აღარ თავსდება კომპარატივისტული ლიტერატურათმცოდნეობის ჩარჩოებში. იქმნება კვლევის ახალი სივრცე, რომელიც ეყრდნობა კონტექსტუალურ (სისტემურ და ემპირიულ) მიდგომას და მოითხოვს თანამედროვე თეორიების გამოყენებას, კვლევის ინტერდისციპლინურ ფორმატს. სტატიაში ვიყენებთ ჩვენ მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას „სოციოლიტერატურათმცოდნეობა“, რაც გულისხმობს ეთნიკურ, რელიგიურ, ენობრივ, სოციალურ, გენდერულ, პროფესიულ, თვითრეალიზაციის, თვითაქტუალიზაციის და სხვა მიმართულებების გააქტიურებასაც. იდენტობათა კვლევისას გვერდს ვერ ავუვლით დღეს ასე აქტუალურ ურთიერთკავშირს სელფსა და იდენტობას შორის. „სელფი“, როგორც ფენომენი, აქტიურად ჩაერთო განსაკუთრებით პიროვნულ იდენტობათა კვლევებში (გამსახურდია 2016: 40).

ალბათ, დაისმის კითხვა: აღნიშნული საკითხების საკვლევად რატომ ვირჩევთ საზღვარგარეთ შექმნილ ან მიგრაციული პროცესების ამსახველ ტექსტებს?

ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობის ცენტრალური თემა იდენტობათა ცვლილებებია. ეს მწერლობა სწორედ ის ველია, რომელიც ყველაზე რეალურად და აქტიურად წარმოაჩენს მიგრაციული, გლობალური სამყაროს „მოდრავ“ (რთულ – ორმაგ, სამმაგ, ჰიბრიდულ, ახალ) იდენტობებს, იდენტობათა ძიების პროცესებს. ამიტომაც ამ მწერლობაში ბევრი ისეთი აქცენტი და კონტექსტია (გააქტიურებული იმაგოლოგიური ნარატივი, რომელიც დისტანციიდან, სხვადასხვა კულტურის პერპექტივიდან უფრო ნათლად, რეალურად წარმოაჩენს თავისასაც და სხვისასაც; კულტურული

მეხსიერების დომინანტი; საზღვარგარეთ მყოფობასთან, ემიგრაციასთან, „მოდრაობასთან“ დაკავშირებული ფსიქოსოციალური იდენტობები), რომლებსაც „ადგილზე შექმნილ მწერლობაში“ ვერ შევხვდებით. ამ მწერლობაში ასახულია ის ცვლილებები, მეტამორფოზები, რომლებიც თანამედროვე სამყაროს, სხვადასხვა კულტურის აღქმის ალტერნატიულ მოდელებსა და პარადიგმებს გვთავაზობს, თუნდაც მიგრაციის ის მიზეზები, რომლებიც სამშობლოში პიროვნული იდენტობის კრიზისს (ნეგატიურ ემოციებს, ალტერნატივათა მუდმივ და უპერსპექტივო ძიებას) ასახავს და რომელთა გამოც მიგრაციის პერსპექტივა უმჯობესად ჩაითვალა.

იდენტობა ყალიბდება ყველა არსებული კომპონენტის საფუძველზე. ნაციონალურ, სოციალურ, პროფესიულ ასპექტებთან ერთად უმნიშვნელოვანესია გრძნობად-ემოციური პრობლემები – სიყვარული, პარტნიორის არჩევა, დაოჯახება, სექსუალური ორიენტაცია – იდენტობებთან დაკავშირებით სულ უფრო აქტიურად განიხილება.

„ახალ Weltliteratur“-ში იდენტობათა რეკონსტრუქციებისა და ალტერნატივების ძიებათა პროცესებს განსაკუთრებით აქტიურებს საოჯახო ნარატივი, ფემინური დისკურსი, რომლებიც დღევანდელმა „მოდრავმა“, მიგრაციულმა გარემომ გააძლიერა. „მოდრაობის“ მწერლობის ავტორთა და პერსონაჟთა უმეტესობა ქალია. დღეს „ახალი Weltliteratur“-ის უმნიშვნელოვანესი თემა არის ქალის, როგორც ავტორის და როგორც პერსონაჟის, თვითიდენტიფიკაციის პრობლემები, ამ მწერლობაში „ქალურობის“ ისტორიული კონცეპტი მდიდრდება ინტერკულტურული მოდელებით.

თანამედროვე ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობა „ახალი Weltliteratur“-ის ფემინურ ნარატივში ერთვება ამ დისკურსის კომპლექსურ, ინტერკულტურულ ჭრილში წარმოჩენით, თუმცა ძალიან საინტერესო ნაციონალური ასპექტებით: 90-იანი წლების პარადიგმა, გარე და შიდამიგრაციები, საბჭოთა სისტემის ნგრევასთან დაკავშირებული თემები, პოსტსაბჭოთა ქაოტური მოვლენები. თავად ქართული მენტალობის (კოლექტივისტური ქართული მენტალობა, გარემოს ძლიერი ზეგავლენა პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაზე) თავისებურებანი. ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობა ასახავს დღევანდელ რეალობას: ნომადიზმმა, „მოდრაობის“ ვითარებამ წამოსწია ქალის ძლიერი მხარეები, ქალმა უფრო აქტიურად დაიწყო ფიქრი და ბრძოლა თვითიდენტიფიკაციისათვის, პიროვნული თავისუფლებისათვის. დღეს ქალი მამაკაცზე მეტად კრიტიკულად განიხილავს მემკვიდრეობით გადაცემულ და ასევე შექმნილ იდენტობას, ცდილობს დროულად გააკეთოს არჩევანი, თუ ადრე შერჩეული იდენტობა დაკარგავს ღირებულებას, აიძულოს გარშემომყოფები აღიარონ მის

მიერ ახლად მოპოვებული იდენტობა. ამ მწერლობაში ოჯახური, ბიოგრაფიული, გენდერული ნარატივი, ნაციონალურისაგან განსხვავებით, მიგრაციებმა და ამასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა (თუნ-დაც ოჯახის ინსტიტუტის რღვევა) სრულიად განსხვავებული თემატიკით დატვირთა.

**ვფიქრობთ, ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობას აქვს მეტი რესურსი არა მხოლოდ იდენტობათა რეკონსტრუქციების წარმოსაჩენად, არამედ მას შეუძლია მნიშვნელოვნად განსაზღვროს იდენტობათა რეკონსტრუქციის პროცესის დინამიკა. ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობა ამ კონტექსტებით გაცილებით უკეთ პასუხობს თანამედროვეობის გამოწვევებს, ვიდრე „ადგილზე შექმნილი“ მწერლობა.**

სწორედ ქართულ ინტერკულტურულ-მიგრაციულ მწერლობაში, მამასადამე, კულტურათა კვეთაში ვლინდება, რომ:

– საბჭოთა სივრცით მოტივირებულ სამშობლოს ზედმეტად იდეალიზაციას და ქართველურობის გაფეტიშებას, რასაც იმ ეპოქაში ეროვნული ცნობიერების გადარჩენისა და ტოტალიტარული სისტემისათვის ფარული თუ აშკარა წინააღმდეგობის გაწევის მიზანი ჰქონდა, თანამედროვე ეტაპზე შინაარსი და ფუნქცია გამოეცალა.

– საჭირო და აუცილებელი გახდა არა მხოლოდ პოსტსაბჭოური სინამდვილისა და 90-იანი წლების ტრავმების (იდენტობათა კრიზისი, ომები, ეთნოკონფლიქტები, დევნილობა, კრიმინალი) აღწერა, ლოკალური პრობლემების ასახვა და მეტ-ნაკლებად გაანალიზება, არამედ საბჭოთა პერიოდში დამუშავებული ნაციონალური ნარატივისა და ნაციონალური სტერეოტიპების დეკონსტრუქცია, ნაციონალურ / ეთნიკურ იდენტობათა რედეფინიცია, გლობალურ კონტექსტთან ადაპტაციისა და მოდერნიზებული ნაციონალური ღირებულებების ფორმირების საფუძველზე ახალ იდენტობათა დაბადების დაფიქსირება, ახალი ნაციონალური ნარატივის შექმნა.

ახალი „Weltliteratur“-ის, შესაბამისად, ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობისა და იდენტობათა ერთობლივი დისკურსი აყალიბებს კულტურულ სივრცეს – შესაძლებლობას დაისვას კითხვები:

– რა არის უცხოეთში წასვლის მიზეზი და მიზანი?  
– რამდენად პრიორიტეტულია უცხო გარემოსთან მორიგების, ადაპტაციის მექანიზმები? რამდენად ათავისუფლებს ადამიანს ნომადიზმი და ათავისუფლებს კი საერთოდ?

– რა გავლენას ახდენს ნაციონალური და ტრანსნაციონალური დინებები თვითიდენტიფიკაციაზე. რამდენად არსებობს ალტერნატიული დისკურსის ენა უცხოეთში, რამდენად ახერხებენ ან თუ ახერხებენ თვითრე-

ალიზაციას, თვითგამოხატვას, პირადი სივრცის შექმნას, როგორც პროფესიულ-შემოქმედებით, ისე გრძობად-ემოციურ სფეროში?

– რამდენად იქცევა გაორების ფაზა (ორმაგი იდენტობები, „ორმაგი აგენტობა“, „ორმაგი კოდირება“, „დია იდენტობა“) შემოქმედებით მოტივაციად?

– როგორ ჩანს უცხოეთში „მე“ და „სხვა“ შეინიშნება თუ არა კრიტიკული დამოკიდებულება ნაციონალური იდენტობის ან დასავლური ღირებულებების რომელიმე მარკერის მიმართ? რა „დავივიწყოთ“, რა მივიღოთ როგორც გამოწვევა, როგორც რეალობა?

– რამდენადაა ასახული ამ მწერლობაში კონტექსტუალიზმი, რა უფრო მეტად ქმნის განსხვავებათა საფუძვლებს: ზოგადად გლობალურ-მიგრაციულ-ინტერკულტურული კონტექსტი თუ ქართული ან პოსტსაბჭოთა გარემოს თავისებურებანი?

– რამდენად გამოკვეთს ეს მწერლობა იმ ასპექტებს, სფეროებს, რომლებიც მოითხოვს აუცილებელ ინტერვენციებს ავტონომიური ფუნქციონირებისათვის, როგორ უნდა გაძლიერდეს „იდენტობის კაპიტალი“, სად უნდა ჩაიდოს ინტერვენციები (ოჯახური ურთიერთობები, აღზრდის თავისებურებები, კულტურა, სოციოპოლიტიკური კონტექსტები)?

განვიხილოთ უცხოეთში შექმნილი ტექსტები:

### **1. ამერიკაში მცხოვრები და მოღვაწე ავტორის, მაია ციციშვილის მოთხრობების კრებული „ათას ერთი დღიდან“. 2021.**

#### **1. „მე“ და სხვა“**

პირველივე მოთხრობა „ეპიკურეს ბალები“ (ვაშინგტონი. 2014 წელი): „ლა მადლენი, ფრანგული კაფე ბეტეზდაში, უკვე რამდენიმე წელია ჩვენი და ჩვენი ახლობელი ოჯახების თავშეყრის ადგილია“ (ციციშვილი 2021: 9).

პირველივე ფრაზები: „დამაცადე, დღეს მე ვიხდი .... ნუ ყვირით, სირცხვილია, შეწუხდა ხალხი ....“ (ციციშვილი 2021: 9).

„გადახდის დროს მოსამსახურე პერსონალისათვის პატარა შოუ იმართება: ხელს ვკრავთ, ვეჭიდავებით ერთმანეთს, ვბრაზობთ. ... ვინც გვცნობს, ჩვენს გამოჩენაზე ალბათ ფიქრობს: „აი, ისინიც მოვიდნენ, შემოდინ, დაიწყებენ ახლა ხელების ქნევას და ყვირილს, ნეტავ საიდან არიან, რა უცნაური ხალხია ...“ (ციციშვილი 2021: 12-13).

უკვე მისახვედრია ქართული ხასიათი: თანამესუფრეს თანხის გადახდა უნდა დაასწრო. ამერიკული მენტალობა: ამით ადამიანები წუხდებიან, დრო ფუჭად იკარგება.

აქ მჟღავნდება ქართველთა ეთნიკური იდენტობის საიდენტიფიკაციო ნიშნები: ეპატაჟურ-რადიკალური ქმედება და მეტყველება, თვალსაჩინო ხელგაშლილობა. ზოგადად, საყოველთაო აზრია, რომ ქართული სტუმარმასპინძლობა სწორედ ამ დეტალებით გამოირჩევა, თუმცა ბოლო დროს შესამჩნევია ცვლილებებიც. ხოლო ემიგრაცია, გარკვეულწილად, კულტურული მეხსიერების, ტრადიციების შემნახავად და დამკონსერვებლადც შეიძლება ჩაითვალოს; იქნებ ესაა ემიგრაციისა და ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობის ერთ-ერთი ფუნქციაც – **შემოინახოს კონკრეტული ქცევა ან ხასიათის თვისება, რომელიც სამშობლოში უკვე აღარაა აქტუალური და მომავალი თაობები მის შესახებ სწორედ აქედან გაიგებენ.**

ზოგადად ქართული მენტალობის შესახებ ასეთი აზრია:

„ქართველების მოქმედებების უმრავლესობა თითქმის სრულად გარემოზეა ორიენტირებული. ყველა აქამდე აღნიშნული აქტივობა ცალსახად ყურადღების მიპყრობისაკენაა მომართული. მათ ნაკლებად აინტერესებთ მოქმედებებისა თუ სიმბოლოების რეალური შინაარსი. აქცენტი კეთდება გარეგნულ ეფექტზე“ (გამსახურდია 2016: 135).

მაია ციციშვილის მიერ მიგნებული ეროვნულ-მენტალური სხვაობანი ნიუანსური, ამავე დროს მნიშვნელოვანია.

მოთხრობა „სადღესასწაულო დეკორაციები“ (ვაშინგტონი 2014): „დერეფანში შეხვედრისას ჩემი და ამ ქალის ურთიერთობა კლასიკური ამერიკული სამეზობლო ფრაზებით შემოიფარგლებოდა. ... ისეთი გრძნობა გიჩნდება, ამერიკაში ცხოვრობენ პრინციპით: არავის არავისი არაფერი არ მართებს“ (ციციშვილი 2021: 21). ავტორი დელიკატურად, მრავლისმომცველად მიგვანიშნებს გარემოს როლზე ქართულ რეალობაში. მართალია, დღეს საქართველოში მიმდინარეობს ინდივიდუალური ლიბერალიზაციის პროცესი, გარემოს (ოჯახური აღზრდის ავტორიტარული მიდგომები, სოციოკულტურული, საზოგადოებრივი ნორმები, სოციოეკონომიკური პირობები) მნიშვნელობაც თანდათან მცირდება, მაგრამ პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაზე, ალტერნატივების ძიებებზე ქართული გარემო, მეტ-ნაკლებად შემორჩენილი კოლექტივისტური ტენდენციის გამო, თავის გავლენას კვლავ ინარჩუნებს. სამეცნიერო სივრცეში აღნიშნულია, რომ ეს კონტექსტი საქართველოში ნაკლებადაა განხილული.

„მჭიდრო კულტურაში ინდივიდის ფუნქციონირებისას წინა ხაზზეა „უნდა მე“-ს ნიშნული და არა „იდეალური მე“-ს ნიშნულები. მაღალი განცდილი ანგარიშვალდებულების პირობებში თვითრეგულაცია ეყრდნობა „უნდა მეს“ მუდმივ აქტივობას. ჯერჯერობით კულტურის ამ განზომილების შესახებ კვლევები საწყის სტადიაშია, საქართველოში კი არ ჩატარებულა.

თუმცა კვლევის შედეგები გარკვეულწილად მიანიშნებს, რომ კულტურული ნორმები ძლიერია და მათგან გადახვევას მკვეთრი უარყოფითი უკუკავშირი მოსდევს გარემოს მხრიდან“ (სხირტლაძე 2015: 95).

ქართველები თითქოს ლალი ადამიანები არიან. ქართული ხასიათის ეს თვისება ბევრს გამოუკვეთავს. გრ. რობაქიძე შენიშნავდა: „გაახარე-გაიხარე“ – აი, მთავარი ხრტილი ქართული ბუნებისა“ (რობაქიძე 1996: 43). ქართველებს ეს სილადე ამღევდა რწმენას გადარჩენისა. ქართული იდენტობის ამ მეტად მნიშვნელოვანი მახასიათებლის შესახებ კვლევა ჩაატარა ვიქტორ ნოზაძემ. მან თქვა, რომ ქართველი არის „ესთეტიურად უპასუხისმგებლო“, საქართველო ხშირად დაუპყრიათ, ქართველი ხალხი ხშირად დამორჩილებია კიდეც უცხო ძალას, მაგრამ ამ ძალის ბატონობისათვის მას სერიოზულად არასოდეს შეუხედავს. ესაა „ქართველის უპასუხისმგებლობა“. როდესაც ამ ბატონობას ბოლო ეღებოდა, ქართველი ხალხი თავისი ხასიათით ისეთივე რჩებოდა, როგორც უწინ იყო, შესაძლოა, შინაგანად უფრო ძლიერიც კი. ესაა მისი „ესთეტიზმი“ (კარტოზია, 2016: 141). ამის შესახებ აღნიშნულია თანამედროვე კვლევებშიც: „ქართველების უმრავლესობა საკუთარ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების ძირითად მიზეზს გარემოსა და ბედისწერაში ხედავს და არა საკუთარ თავში, ჩანს, ქართული ეთნოსის წევრებს აქვთ განცდა, რომ „რახან აქამდე გადავრჩით“, შემდეგშიც გადავრჩებით. ის ფაქტი, რომ სხვა დიდი სახელმწიფოების გაქრობის ფონზე საქართველომ ამდენ ხანს გააგრძელა არსებობა, საკუთარი თავის და პოზიტიური ბედისწერის ირაციონალურ რწმენას განაპირობებს“ (გამსახურდია 2016: 172-174).

თუმცა მაია ციციშვილს უცხოეთმა, სხვადასხვა მენტალობათა შედარების შესაძლებლობამ მისცა საშუალება, შეენიშნა, რომ „ლალი ქართველი“ დღეს უკვე სხვა პოზიციებს ამჟღავნებს.

ქართველის სილადე, შესაბამისად, აქტიურობა, დღეს უფრო ნაკლებია, ვიდრე, მაგალითად, ამერიკელისა, თუნდაც ხანდაზმულისა.

მოთხრობაში „სადღესასწაულო დეკორაციები“ მოთხრობელის მეზობლად მცხოვრები ხანშიშესული ცოლ-ქმარი, ქორწინებიდან მე-60 წლის-თავის აღსანიშნავად, თავიანთმა შვილებმა, რომლებიც უკვე დიდი ხანია ცალკე ცხოვრობენ და მათ იშვიათად ნახულობენ, ჰავაიზე დაპატიჟეს. ქართველს უკვირს მათი ენთუზიაზმი, აღფრთოვანება, ზოგადად ყველა დღესასწაულზე, თუნდაც ჰელოუინზე, სახლის დეკორაციებით მორთვის ხალისი. ავტორის განწყობის შედარებითი დისკურსი ასეთია:

„ნეტავი ამას, რომ ამისი თავი აქვს. წელს მე შეიძლება ნამდვის ხეც არ ავაწყო, ანდა ვისთვისაა საჭირო, ბავშვებს აღარ აინტერესებთ, მე მეზარება,



ქმარს კიდევ უფრო, რადგან მისი მოსათრევი და დასადგმელია“ (ციციშვილი 2021:24).

ამერიკელი ხანდაზმული მუსიკოსი თავისი დეკორაციებით ეგებება დღესასწაულს. ის არ თვლის, რომ მისი დრო გავიდა. ახლის მოლოდინს და მიღებას თუკი შეძლებ, სიბერე ვეღარ მოგამწყვდევს წარსულის ცხრაკლიტულში. „როგორ შეიძლება პატივი არ სცე ამერიკელების დამოკიდებულებას წლების მიმართ. ეს მათთვის ციფრების დაუნდობელი მატება არაა, ცხოვრებისეული პოზიციაა“ (ციციშვილი 2021:22).

ასეთივე სურათია მოთხრობაში „აი ია“ (ვაშინგტონი 2016).

ქართველი ამერიკაში მყოფ უცხოელ სტუდენტებს ქართულს ასწავლის. უცხოელი (უმეტესად ამერიკელი) ახალგაზრდების პასუხი მოკითხვაზე „...ყოველთვის არის: „კარგად“ ან „ძალიან კარგად“, ამას მასწავლებელი უკვე დიდი ხანია მიეჩვია. მოკითხვაზე პასუხი „კარგად“ ამერიკელებისათვის პაროლივითაა, რაშიც მათი ხასიათი მჟღავნდება ... მასწავლებელმაც თავისი საყვარელი ფრაზები: „არა მიშავს“, „ისე რა“, დავიწყებას მისცა. თავიდან არაბუნებრივად მიაჩნდა, როცა ყველაფერი ვერ იყო კარგად, როცა უსიამოვნო ამბები მოდიოდა თბილისიდან მშობლების ავადმყოფობის შესახებ, უჭირდა ეთქვა „კარგად“. თანდათანობით ეს კარგად თავისით მოვიდა და ბუნებრივად ჩაჯდა“ (ციციშვილი 2021: 32).

„ქართული სილალის“ გაქრობას თუ არა, შესუსტებას მაინც დღეს ლოგიკური ახსნა მოეძებნება, თუ არსებულ სოციოპოლიტიკურ კონტექსტს გავითვალისწინებთ: პოსტსაბჭოთა პერიოდი, ომები რუსეთთან, ეთნიკონფლიქტები, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანები, შეუქცევადი ემიგრაციები. მართალია, საქართველოს ისტორიაში ბევრი ტრაგიკული ფურცელია ჩაწერილი, მაგრამ ფაქტია: პოსტსაბჭოთა პერიოდი ძალიან რთული აღმოჩნდა, დამოუკიდებლობის მიღებაც უჩვეულო და დამაბნეველი. იდენტობათა ასეთი კრიზისი, შესაძლოა, საქართველოს ისტორიაში აქამდე არც ყოფილა. აშკარაა თანამედროვეობა, მით უმეტეს, უცხოეთში ცხოვრება (თუმცა ეს სილალე საქართველოშიც ვეღარ „მუშაობს“) უკვე აღარ იძლევა უპასუხისმგებლობის, ბედისწერაზე მინდობის (ბედია ასეთი და მე რა ვქნა, მე თავი რატომ შევიწუხო), არააქტიურობისა და, შესაბამისად, სილალის „კომფორტს“.

თანამედროვეობა, როგორც ჩანს, ნელ-ნელა „აიძულებს“ ქართველს, სილალის ცნება შეცვალოს და გაიაზროს, რომ, პირიქით, ნამდვილი სილალე არის აქტიურობა, ბრძოლა, რეალობაში გარკვევა, სწორი პოზიციების შემუშავება გლობალიზაციისა და მიგრაციების გამოწვევებთან გამკლავება, შემოქმედებითობა.

მაია ციციშვილმა შენიშნა: უცხოეთში ყოფნამ, კულტურათა შედარებამ დააჩქარა თაობათა შეხედულებების ცვლა. გლობალურ-მიგრაციული სამყაროს დაკვეთები სრულიად სხვაა, ქართული ფუნდამენტური ფასეულობანი – ქართული მენტალიტეტის მთავარი ღერძი – ჩანაცვლა სწრაფად ცვალებადი გარემოს აქტუალურმა მოთხოვნებმა.

შვილებთან „რადაცის ახსნას რომ დავაპირებ, უფრო ვირევი, ვხვდები ახლა მე შვილებს მარტო თაობები კი არა, კულტურაც მაშორებს“ (ციციშვილი 2021: 61).

მოთხრობა „რიზორიუსი“ (ვაშინგტონი. 2017). „აშშ-ში რამდენიმე თვის ჩამოსული ვიყავით, როცა სკოლიდან დაგვირეკეს და დირექტორთან დავიბარეს“. როგორც ჩანს, ქართველმა ბავშვმა კლასში არაერთხელ იჩხუბა.

ქართული შეხედულება: „ბავშვები ზოგჯერ ჩხუბობენ, მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი რამაა“ (ციციშვილი 2021: 68). „გიორგი და ჩემი დისშვილი, დათო თანატოლები არიან. მამაჩემი, ნუგზარი და ზურა პირველ სექტემბერს ისე აცილებდნენ, თითქოს სკოლაში კი არა, ომში ისტუმრებდნენ. აბა, თქვენ იცით, თავი არავის დააჩაგვრინოთ, ჩხუბის დროს არ შერცხვეთ, კაცურად მოიქეცით, – არიგებდნენ ბიჭებს“ (ციციშვილი 2021: 69).

... პოსტსაბჭოთა სკოლებში, საბჭოეთიდან მოყოლებული, დიდ პატივშია დარვინიზმის პრინციპი – „ძლიერები გადარჩებიან“. ჩვენებს ეს მწარე გაკვეთილი თავის დროზე კარგად აქვთ ათვისებული. ... „მოლიმარმა დირექტორმა ჩვენი „ოჯახური შეგონებანი“ რომ იცოდეს, ბავშვებში ძალადობის გაღვივებისათვის ჩვენც მოგვარგებდა სპეციალურ პროგრამას“ (ციციშვილი 2021: 69-70).

„ჩვენთან „კი“-ს და „არა“-ს შორის რყევის ამპლიტუდა მაღალია. ... ჩვენთან ყველაფერი ხმამაღალ ნოტებზეა. ტელევიზორიც ჩვენ გვეჯიბრება ღრიალში. დერეფანში კი, როგორც ყოველთვის, სიმშვიდეა, „ხმა არსაიდან“. მაინტერესებს, რა ნერვების ხალხი ცხოვრობს ჩვენს შენობაში, ნეტა, სად გაიზარდნენ, სულ მშვიდად როგორ არიან? ... ჩვენი ნაცნობი ამერიკელის სიტყვები მახსენდება: მე და ჩემი ცოლი როცა ვკამათობთ, ცხელ გულზე რამე რომ არ წამომცდეს და ბავშვებმა რომ არ ინერვიულონ, ცოტა ხანს გარეთ გავდივარო. ... ამერიკელები ყველანაირად ცდილობენ, ბავშვებს კონფლიქტური სიტუაციები აარიდონ, გამჭვირვალობაზე კი საუბრობენ, ჩვენთან კამათიც სრული „გამჭვირვალობაა“. თუ ყველაფერი დამალე, რაღა ღია საზოგადოება გამოდის?!“ (ციციშვილი 2021: 71-72).

„ყოველდღიურად ბრძოლებში ვარ ჩართული „შინაურ თუ გარეულ მტერთან“... რას იზამ?! ისეთ წყობაში გავიზარდე, სადაც ბავშვობიდანვე ხდებოდა „ცნობიერების მილიტარიზაცია“ (ციციშვილი 2021: 72).

ავტორის აზრით, ქართულ მენტალობაში „უბრალოდ ემოციების გამოხატვის ფორმებია დასამუშავებელი, დასახვეწი. კამათის დროს არაა საჭირო მდიდარი არანორმატიული ლექსიკის გამოყენება, მწირითაც გახვალ იოლას. პატარა უსიამოვნება დიდში რომ არ გადაზარდო, ამასაც ალბათ სწავლა უნდა. ბებიჩემის საყვარელი გამოთქმა იყო: „ბუზი არ უნდა მოგეჩვენოს სპილოდ. ... მე კი რატომღაც სულ სპილოებს ვხედავ. წლების გასვლის მერე ვხვდები, ცუდი სულაც არ ყოფილა ეს პროგრამები, მაშინ მეგონა, მოვუგეთ და გავაჩუმეთ მოლიმარი დირექტორი. ამ „ცივილიზებული გამოსავლების“ პროგრამაში მეც რომ ბავშვობიდანვე მესწავლა ემოციების მოზომვა, ნაკლები კონფლიქტი მოხდებოდა, რასაც არ მოჰყვებოდა ამდენი უსიამოვნება, წყენა, გულნატკენი ადამიანები“ (ციციშვილი 2021: 72-73).

უცხოეთში გიწევს რაღაცის კი არა, ბევრის დათმობა, ჩვეულ ფასეულობებზე დაფიქრება. „მეხსიერების არქივის“ განახლება. „ჩვეული სტერეოტიპები გემსხვრევა. ყველაფერი, რაც შენს ქვეყანაში ავტომატურად, იოლად გამოგდიოდა, უცხო ქვეყანაში რთულდება.“ (ციციშვილი 2021: 148-150).

უცხოეთში ხანგრძლივმა ცხოვრებამ ავტორს დიდი გამოცდილება დაუგროვა, რამაც მისცა საშუალება იმაგოლოგიური ასპექტები გაეძლიერებინა, თუმცა როდესაც მის მოთხრობებს ვკითხულობთ, ვგრძნობთ, რომ მას მიზნად არ ჰქონია, ხაზი გაესვა ქართულსა თუ რომელიმე სხვა ეროვნების იდენტობას შორის არსებული სხვაობისათვის, დაეგმო ქართული ხასიათის რომელიმე ნიშან-თვისება. პირიქით, მის ნაწერებში სიყვარული და მონატრება იგრძნობა, ამერიკული ცხოვრების სიკეთეებსაც აღნიშნავს. ეს სიყვარული და ზრუნვა გამოარჩევს ამ ნაწერებს და არა აროგანტული კრიტიკა. ამიტომაც არის ეს კეთილი წიგნი.

სწორედ ეს გვხიბლავს ამ მოთხრობებში: განსხვავებანი ძალდაუტანებელად, თავისთავად წარმოჩინდება ყოველდღიურ ყოფაში, ნიუანსებში, დიალოგებში, შემდეგ კი მკითხველს ეძლევა საშუალება, თავადვე დაინახოს განსხვავებები კულტურათა და იდენტობათა შორის, თან ისე, რომ კი არ გავუცხოვდეს სხვა კულტურისაგან, პირიქით, თავისი მენტალობა უფრო მკვეთრად შეიგრძნოს და განსაზღვროს, როგორ მოიძებნოს საჭირო რესურსები თვიდიტენფიკაციისათვის, თვითრეალიზებისათვის, საკუთარი ადგილის მოძიებისათვის დღევანდელ რთულ, გლობალურ დროსივრცეში.

2. ადაპტაცია უცხოეთთან – „ჩვენ ყველას ერთი მთავარი რამ გვაერთიანებს – ადამიანობა!“

მაია ციციშვილის წიგნში ჩანს სამყაროს მრავალფეროვნება, რასაც, უპირველესად, კულტურათა მრავალგვარობა განაპირობებს. წიგნში გამოკვეთილია მნიშვნელოვანი ალტერნატიული დისკურსები:

- ადამიანებს ერთმანეთთან უფრო მეტი საერთო აქვთ, ვიდრე სხვაობა;
- კულტურათა განსხვავებულობა ხშირად სუბიექტური აღქმის შედეგია და ამ დროს ადამიანს ხელიდან უსხლტება ის ფასეულობები, რომლებიც ყველასათვის საერთოა.

„როცა სხვა ხალხის კულტურასთან გვიწევს შეხება, მას ფართო გაგებით აღვიქვამთ, როგორც ხალხის ცხოვრების წესს თავისი ყველანაირი მრავალსახეობით, ჩვენი მენტალიტეტის ფილტრში ვატარებთ და საკუთარი კულტურის ნიშნების მიხედვით „სწორია-არასწორიას“ პოზიციიდან ვაფასებთ ... ამიტომ ფიქრობენ, რომ ადამიანების მიერ უცხო კულტურის აღქმა მათივე საკუთარი ხედვა უფროა, ვიდრე რეალური სურათის დანახვა“ (ციციშვილი 2021: 61).

ჩვენი წარმოდგენა სხვა ქვეყნის ხალხზე „ხშირად თავსმოხვეული სტერეოტიპებითა და კლიშეებით არის ფორმირებული ... სტერეოტიპებით მიდგომა ყოველთვის უარყოფით შედეგს გამოიღებს“ (ციციშვილი 2021:62).

„კანადა და შტატებიც საშუალებას გაძლევს, იცხოვრო, მიაღწიო წარმატებას ისე, რომ დარჩე შენი ეთნოსის, რელიგიის და კულტურის ნაწილად, სუბკულტურად, რაც საერთო საზოგადოებრივ ფონს კი არ ეწინააღმდეგება, პირიქით, მის ნაწილად გვევლინება. ეს მარტო ძლიერ და სამართლიან ქვეყნებშია შესაძლებელი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქვეყნებში ყველას ერთმანეთი უყვარს, რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ამერიკელების, კანადელების უმეტესობა თავაზიანია და პატივისცემოთაა გამსჭვალული განსხვავებულ კულტურათა მიმართ. ... ყველა ერს კომუნიკაციურ ქცევათა საკუთარი კოდი აქვს, რომელიც ხშირად ჩვენსას არ ემთხვევა, მაგრამ ჩვენ ყველას ერთი მთავარი რამ გვაერთიანებს – ადამიანობა, და ეს უნდა იყოს ყოველთვის ამოსავალი“ (ციციშვილი 2021:62 – 63).

ავტორი და მისი მოთხრობების პერსონაჟები სიყვარულისაკენ, ურთიერთნდობისაკენ, დიალოგისაკენ მოგვიწოდებენ.

ამ მოთხრობებიდან კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ უცხოეთში ცხოვრება ბევრი რამის გააზრების შესაძლებლობას გვაძლევს:

იდენტობათა რეკონსტრუქციის, ალტერნატივათა ძიების დღევანდელ პროცესებში მნიშვნელოვანია თვითიდენტიფიკაცია „უცხო“ შეცნობის გზით, საერთოს გამონახვა ზოგადადამიანური ფასეულობების გააზრების საფუძველზე.

**„საკუთარის შენარჩუნება სხვის უპატივცემულობას არ ნიშნავს.** თავდაპირველად, დღემდე არსებული სტერეოტიპების ზეგავლენით, ჩემთვის უცნობი კულტურის მქონე მძლოლები, განსაკუთრებით სწორედ ისინი, „არასანდოთა კატეგორიაში“ შემყავდა. ალბათ ასე ხდება, როცა თავიდანვე

ისე ხარ განწყობილი, რომ „დაეჭვდე“ მათში. ურთიერთობა, კომუნიკაცია, თუნდაც ხანმოკლე საუბრები კი ამგვარ ეჭვებს აქარწყლებს. ადამიანებს მეტი ნდობა რომ ჰქონდეთ ერთმანეთის მიმართ, ამ ნდობამ მომავალში რომც არ გაამართლოს, მაინც საგრძნობლად შეიცვლებოდა რეალობა, ნაკლებად გულგრილსა და საშიშ გარემოში აღმოვჩნდებოდით“ (ციციშვილი 2021: 151).

ეს პოზიციები განსაკუთრებით ფასეულია სხვადასხვა ეროვნების, კულტურის წარმომადგენელთა შორის ურთიერთობებში, ამ გამოცდილებებს, იმპულსებს უფრო მეტად იღებ უცხოეთში, ვიდრე შენს ქვეყანაში. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ, გგონია, შენს ქვეყანაში ეს მეტ-ნაკლებად ისედაც გემლევა, რომც არ გაიაზრო.

უცხო ქვეყანაში კი მეტი დაკვირვება, მეტი ძალისხმევაა საჭირო, რათა დაინახო დადებითი, კულტურათა გადაკვეთის წერტილებში შენიშნო არა მხოლოდ განსხვავებულობა, არამედ ინდივიდუალობაც. გადალახო გაუცხოების ბარიერები, განსხვავებული შეხედულებების მიმართ შიში.

სწორედ უცხოეთში მეტად გავიაზრებთ: **სხვადასხვა კულტურაში ინტეგრაცია არ ნიშნავს ინდივიდუალობის, ეროვნულობის დაკარგვას, პირიქით, ადამიანი თავისი მრავალსახოვანებით, პიროვნული იდენტობით ერთვება კულტურათა მრავალგანზომილებიან კვეთაში.** ყველა ადამიანი, ყველა ერი თავისებურ ელფერს მატებს სამყაროს მრავალფეროვნებას.

სწორედ უცხოეთში ინტეგრაციის, ალტერნატივების მოძიების პროცესში აუცილებელია საკუთარი სტილის შექმნა. უფრო მეტიც, **გაორების ფაზა, ორმაგი იდენტობები, „ორმაგი აგენტობა“, „ორმაგი კოდირება“, ღია იდენტობა შესაძლოა იქცეს მნიშვნელოვან მოცემულობად, შემოქმედებით მოტივაციად.**

ზოგიერთ მოთხრობას არ შევხებივართ, რადგან მათში იდენტობათა რეკონსტრუქციები ნაკლებადაა წარმოჩენილი, თუმცა ამ მოთხრობებს ერთი რამ აერთიანებთ: ავტორი მშვიდად, ტრაგიკულობის გარეშე შეიგრძნობს და მკითხველსაც აგრძნობინებს სამყაროს სილამაზესაც და ყოფიერების ტკივილებსაც: „მაია ციციშვილის მოთხრობათა მთავარი გმირები ქალაქის რეალურსა თუ მეტაფიზიკურ სივრცეებში „მოძრაობენ“ და ქუჩებში გაბნეული სიტბოს ნატეხებით სულის მყუდრო თავშესაფარს აგებენ. მშობლების – ნათელა ღამბაშიძისა და გიორგი ციციშვილის – ნათელი ხსოვნისთვის მიძღვნილი წიგნი ყველა იმ ადამიანის მიძღვნადაც აღიქმება, რომლებიც ჩუმად, უხმაუროდ მიუყვებიან ცხოვრების გზას და სიკეთისა და სიყვარულის ნაკვალევს ტოვებენ. ... მანანა ღარიბაშვილისა და ზვიად კვარაცხელიას მცირე გამოხმაურებანიც ნათელყოფენ, თუ რა გამოძახილი მოჰყვა ამ მოთხრობებს მკითხველის გულში“ (ჯალიაშვილი 2022: 67).

ყველა წიგნს აქვს თავისი მთავარი სათქმელი, ყველა ავტორი, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, წიგნის წერისას ამ მთავარი სათქმელისაკენ მიემართება.

ბოლო მოთხრობა ამ კრებულიდან ხსნის სათაურის სიმბოლიკას და გარკვეულწილად ავტორის გულისთქმასაც გვიმხელს. სათაური ცნობილი აღმოსავლური ზღაპრითაა შთაგონებული და ამ ზღაპრის იდეას ერთგულებს: განსაცდელი, უბედურება ვერ გათიშავს ადამიანებს. მოთხრობაში „ათას ერთი დილიდან“ ავტორს, რომელიც ქართულ ენას ასწავლის უცხოეთში, ტაქსის მძღოლი ტესტის კარგად ჩაბარების საიდუმლოს „უმხელს“: ტესტის წინ ჩახუტება საუკეთესო მეთოდია. ... ჩახუტებით გამოხატული სითბო ელექტრულ სიგნალებს გადასცემს მთელს ნერვულ სოისტემას, ტვინიც აქტიურდება, რაც შემეცნებისა და დამახსოვრების უნარს აუმჯობესებს, ადამიანიც ადვილად პოულობს მეხსიერებაში შენახულ სიტყვებს, ფრაზებს“ (ციციშვილი 2021: 145). მოთხრობელი შეკამათებას ცდილობს: „სოციალური ურთიერთობის ნორმები იცვლება, დღეს ჩახუტებით ბევრმა შეიძლება უხერხულად იგრძნოს თავი“. ტაქსტის მძღოლი: „არ მჯერა, რომ მეგობრული სითბოთი გამოხატული მხარდაჭერით ვინმემ თავი უხერხულად იგრძნოს. ადამიანები რაღაც ნორმებს ვაწესებთ, მერე ჩვენ თვითონვე ვექცევით ამ ნორმების ტყვეობაში, ურთიერთობებში ზედმეტი ფორმალობა დამატებით ბარიერს ქმნის, ჩვენ კი, პირიქით, დაახლოება გვჭირდება“ (ციციშვილი 2021: 146).

ამავე მოთხრობაში ეს ზოგადი აზრი არგუმენტირებულია უახლესი კონტექსტით – პანდემია, რომელმაც გამოავლინა ადამიანური ბუნების აქამდე თითქოს შეუმჩნეველი პლასტები, სამყაროს არსებობის მთავარი კოდი – ამქვეყნად ყველაზე ფასეული ადამიანისათვის ისევ ადამიანი და მისი თანადგომა, თანაზიარობა.

არგუმენტს, „ამ ვირუსით უამრავი ადამიანი დაიხოცა ... თითქოს ამოტრიალდა სამყარო. ... ამ პანდემიის შემდეგ ფიზიკური დისტანციის საჭიროების გამო კიდევ უფრო რთული იქნება სითბოს გამოხატვა, ადამიანების ჩახუტება კი არა, ამბობენ, ხელის ჩამორთმევაც დავიწყებას მიეცემაო“ (ციციშვილი 2021: 152). ავტორი უპირისპირებს შემდეგ არგუმენტს: „შეიძლება ვირუსის მტერი არის იზოლაცია, მაგრამ ამავე დროს, ჩვენი მტერიცაა. ჩახუტებას (დიალოგი, თანადგომა, ურთიერთსიახლოვის პოზიტივი – ნ.ჩ., შ.შ.) შემცველეს ვერ უპოვი, სიტყვებსაც კი ასეთი ძალა არა აქვს, ეს განსაკუთრებული წუთებია, როცა ერთმანეთს სიტყვების გარეშე ვაგრძნობინებთ, რომ მარტონი არა ვართ, რომ ერთმანეთის გვერდით ვართ“ (ციციშვილი 2021:152 – 153).

**საფრანგეთში მცხოვრები მწერალი ქალის, დრამის რეჟისორისა  
და ფოტოჟურნალისტის, ლელა ლაშხის რომანი „ჟაკლინი“. 2019**

რომანი ეპისტოლური ჟანრისაა – წერილების სახითაა წარმოდგენილი, რაც კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენს პიროვნული იდენტობის პარადიგმულ დისკურსს.

**1. რატომ წავიდა?**

რომანიდან ჩანს, რომ ჟაკლინისათვის ზოგადად მიუღებელია სამშობლოში არსებული საზოგადოებრივი მენტალობა ეკლესიაში, სკოლაში, თეატრში თუ სხვაგან. უახლოესმა მეგობარმა, დამსახურებულმა პედაგოგმა ურჩია: „ეს შენი ქვეყანა არ არის, აქ შენნაირებს ძალიან უჭირთ ფეხის მოკიდება და მთელი ცხოვრება ბრძოლაში უწევთ ყოფნა თავის დასამკვიდრებლად, რეალურად პიროვნულ და კარიერულ სიკვდილს განიცდიან და ბოროტდებიან. ... უკანმოუხედავად წადი ამ ქვეყნიდან“ (ლაშხი 2020: 70).

**2. რა ხდება უცხოეთში?**

უპირველეს ყოვლისა, მანამდე შეზღუდული თავისუფლების რეალიზაცია სიყვარულის ალტერნატივების შესაძლებლობების თვალსაზრისით. ჟაკლინი ამ შესაძლებლობებს ბოლომდე ენდობა და იყენებს კიდევაც.

უცხოეთმა კიდევ უფრო განუმტკიცა რწმენა, რომ მთავარია გულწრფელობა, „არ არსებობს არანაირი საიდუმლო და მაგია. მხოლოდ გულწრფელობა, პირდაპირობა და მასზე ზრუნვის სურვილის ასევე პირდაპირი გამოხატვა“ (ლაშხი 2020: 81).

„მასთან იყავი, ვინც შენს გარდაქმნას არ მოინდომებს, შენს სულს ხელუხლებელს დატოვებს და თავისი ზრუნვით მხოლოდ გაგიმდიდრებს“ (ლაშხი 2020: 146). ცხოვრება „მაქსიმალურად უნდა გამოიყენო საკუთარი ბედნიერების, სათქმელის, სურვილების, ოცნებების ახდენის, გაცემის, მოსმენის, ყურადღების, სითბოს, გულწრფელობის გაზიარებისათვის“ (ლაშხი 2020: 982).

ჟაკლინისათვის კომფორტულ სივრცედ იქცა უცხოეთი, რადგან ინდივიდუალური ლიბერალიზაციის პირობებში აქ მას ადაპტაცია გაუადვილდა, განსხვავებული სექსუალური თუ სოციალური ჯგუფებისადმი არსებული დისტანციის გაქრობის თუ არა, მკვეთრად შემცირების ხარჯზე. არადა აქ (სამშობლოში, ნ. ჩ.) ასე ხდებოდა: „უნდა გავითვალისწინოთ მეზობლის, თანამშრომლის, ნათესავის ინტერესები და ამის მიხედვით დავგეგმოთ საკუთარი მომავალი?!“ (ლაშხი 2020: 158).

სიყვარულის ალტერნატივის შესაძლებლობა შემოქმედებით-პროფესიულ განვითარებაზეც აისახება, პიროვნებას აძლევს დიდ მოტივაციას, სულიერი, გონებრივი უნარების გამომჟღავნების გაცილებით მეტ შესაძლებ-

ლობას. ჟაკლინმა შეძლო „იქ“ თვითდამკვიდრება, თავისი ნააზრევითა თუ წიგნებით სამშობლოშიც მიიპყრო ყურადღება.

ჟაკლინს ისევე, როგორც უცხოეთში მყოფ სხვა ადამიანებს, აქვს ბევრი მიზეზი შეამოწმოს საკუთარი რწმენის საფუძვლები, უჩნდება ლოგიკური სურვილი, ღვთის რწმენითაც გაამართლოს თავისი სექსუალური ორიენტაცია. „მთელი გულით მინდა, ღმერთს ჩემი ესმოდე, ღმერთი თავისუფლებას მანიჭებდეს“ (ლაშხი 2020: 11). ჟაკლინი უცხოეთში მის სანახავად ჩასულ დედას ამგვარ კითხვას უსვამს: „შენ ხომ მარხულობ სულ, დილას და საღამოს მუხლჩახრილი ლოცულობ და რა? ამიხსენი, რატომ აკეთებ ამას? თუ საკუთარი შვილის ისეთად მიღება არ შეგიძლია, როგორც სწორედ შენმა ღმერთმა გიბოძა? როგორ შეგიძლია ასეთ „მორწმუნეს“ ადამიანი ცოცხლად დასამარხად და ხორციდან მოსაგლეჯად გაიმეტო?“ (ლაშხი 2020: 163).

### 3. როგორ წარიმართა ჟაკლინის ცხოვრება?

მან თავი მოიკლა. თუკი უკეთესი სივრცე აღმოჩნდა მისთვის უცხოეთი, რატომ? მან ხომ შეძლო მიეღო როგორც სიყვარულის ალტერნატივის, ასევე პროფესიულ-შემოქმედებითი ზრდის შესაძლებლობა.

კითხვაზე პასუხის გასაცემად ძალიან მნიშვნელოვანია ჟაკლინისა და მარტას ურთიერთობა. მარტა და ჟაკლინი – მათი გზები გადაკვეთა ლესბოსელობამ, მაგრამ შემდეგ ჟაკლინი და მარტა – ორი ჰომოსექსუალი ქალი – სხვადასხვა გზით წავიდა. მარტამ შეძლო თავისი სექსუალური ორიენტაცია ცხოვრების მთავარ მიზნად არ ექცია. მან კარიერული წინსვლა უმთავრესად მიიჩნია და სექსუალური მისწრაფებები მას დაუქვემდებარა. სექსუალური თავგადასავალები შემდგომ უკვე დისერტაციისათვის გამოიყენა. ერთ საღამოს მომხდარი ინციდენტის გამო სადისერტაციო ნაშრომის დასკვნაც კი შეცვალა: „ზოგადი ფსიქოლოგია. ქალები. კაცები და აშლილობები. ... ჩაილაპარაკა: დისერტაციის დასკვნით ნაწილს შეეცვლი“ (ლაშხი 2020: 172).

რას სთავაზობს მარტა ჟაკლინს? ის ჟაკლინს ორი რამისკენ უბიძგებს:

– აქტიურობისაკენ, კიდევ უფრო მეტი შემოქმედებითი და პროფესიული წინსვლისკენ: „მინდა დასრულდეს ჩემი და შენი სტაციონარული ურთიერთობა. ... მინდა ჩემი წიგნის პრეზენტაციაზე მოხვიდე. ... ეს ჩემთვისაც მნიშვნელოვანია ადამიანურად და პროფესიულად. ... ცხოვრება კომპრომისების ომია. ... გარემოებები უნდა დაამარცხო და არა ის ადამიანები, რომლებსაც შენგან ცოტა ყურადღებაც კი სიხარულს მიანიჭებს. სიყვარული ღმერთია“ (ლაშხი 2020: 214). მარტას აზრით, ცუდია, როდესაც ადამიანები თმობენ ერთმანეთს და არა შეხედულებებს. უნდა მივიღოთ ერთმანეთი ჩვენი დადებითი და უარყოფითი მხარეებით (რაც, რა თქმა უნდა, სუბიექტურია), უბრალოდ ვიცხოვროთ და გავცეთ სიყვარული. მარ-



ტასათვის მნიშვნელოვანია შემოქმედებითობა, მისი ალტერნატიული გზა თვითრეალიზაციისაკენ მიემართება.

– მიტევებისაკენ, პატიებისაკენ, იმის გაგებისაკენ, რომ შესაძლოა, სხვასაც, მით უმეტეს, დედას, ჰქონდეს თავისი სიმართლე. მარტამ, როგორც ფსიქიატრმა და დაკვირვებულმა ადამიანმა იცის, რომ ჟაკლინის ქვეცნობიერში არის დედის, ოჯახის წინაშე დანაშაულის შეგრძნება, რომელიც მას სტანჯავს, რომელსაც ვერ ამოიგდებს მეხსიერებიდან.

ამიტომაც რთულდება ჟაკლინის ყოფა. მარტას პოზიცია რეალისტურია, რადგან ის ერთდროულად ითვალისწინებს სხვადასხვა თაობის შეხედულებებს, კულტურული მეხსიერების მნიშვნელობას იდენტობათა რეკონსტრუქციის, ლიბერალიზაციის პროცესშიც. ის ურჩევს ჟაკლინს, თავის ყოფილ სექსუალურ პატრტნიორს, ამჟამად პაციენტს:

„შენ ხომ მისი გაჩენილი ხარ? ... ის, რომ ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი ქალი ხარ, ვისაც ვიცნობ, მხოლოდ მისი დამსახურებაა, მისი ვალი გაქვს – სიცოცხლე, ვალდებული ხარ აპატიო. ... იმ ადამიანის ადგილი გაიწეროს, რა ადგილიც უჭირავს შენს ცხოვრებაში“ (ლაშხი 2020: 213-214).

„დედაშენთან მიდი, ჩაეხუტე და უბრალოდ, დაელაპარაკე. უთხარი ყველაფერი, რის თქმაც გულით გენდომება. ... რა ვერ გიპატიებია? ის, რომ ტვინის შემობრუნებას ვერ ახერხებს? რომ ასეთი მენტალიტეტით დაბერდა? ის, რომ აკრძალვებისა და შიშის ეპოქაში გაზრდილი მშობლების, მერე თავად კიდევ უარეს სისტემაში გაზრდილი და შენ, მისი გაჩენილი შვილი, სხვადასხვანაირი ღირებულებების აღმოჩნდით? როგორ შეიძლება შენნაირად მოაზროვნე ადამიანმა ეს ვერ გადახარშოს და დაალაგოს? ... რეალურად მე ხომ აქედან თავის დასაღწევად მომძებნე?“ (ლაშხი 2020: 211-213).

რომანი საინტერესოა შემდეგი კონტექსტებით:

ჟაკლინმა ვერ გაითვალისწინა, რომ დედასთან, ოჯახთან კავშირის გაწყვეტა მას დასტანჯავდა, აგრეთვე ის, რომ დედის გაგებაც შეიძლებოდა, **ჟაკლინი დედას სთხოვდა, მიმიღე ისეთი, როგორიც ვარო. მაშინ დედაც ხომ ისეთი უნდა მიეღო, როგორიც იყო.** ოჯახის დადანაშაულების მიუხედავად, მათთან ემოციური კავშირი ვერ გაწყვიტა.

ალტერნატივების ძიების პროცესი უცხოეთშიც ვერ თავისუფლდება კულტურული მეხსიერებისაგან. **კულტურული მეხსიერება პიროვნული იდენტობის ყველაზე დიდი განმსაზღვრელია უცხოეთში.** არა მხოლოდ ნაციონალური იდენტობის ფუნდამენტური კომპონენტები, არამედ პიროვნული იდენტობის გრძნობად-ემოციური სფეროც კი მისითაა მოცული. ამ სფეროსათვისაც დიდ მნიშვნელობას ინარჩუნებს ოჯახის ღირებულება. ყველაზე ლიბერალურად განწყობილთა შემთხვევაშიც კი რჩება დატოვე-

ბულ ოჯახთან ემოციური უკუკავშირის განცდა. ოჯახის ინსტიტუტი ერთ-ერთ ყველაზე უნივერსალურ კულტურულ ინსტიტუტს წარმოადგენს და ის თითქმის ყველა კულტურაში არსებობს ამა თუ იმ ფორმით. ამიტომაც უფრო გასაგები ხდება მისი სიცოცხლისუნარიანობა კულტურათა შორის მობილობის პირობებშიც კი, თუნდაც არააქტიური გამოვლინებით, თუნდაც მხოლოდ ქვეცნობიერში.

რომანი დაგვაფიქრებს: იძლევა კი უცხოეთი საბოლოო თავისუფლებას, თუნდაც სიყვარულის ალტერნატივის თვალსაზრისით? რას დავარქვამთ თავისუფლებას?

ვფიქრობთ, ამ ორ ნაწარმოებს ერთი მთავარი სათქმელი აერთიანებს: **უცხოეთში მყოფთ, განსაკუთრებით კი ქალებს, უფრო მეტად უჭირთ თვითიდენტიფიკაცია ემოციურ-გრძნობად საკითხებში (სიყვარულის ალტერნატივები, სასიყვარულო პარტნიორი, სექსუალური ორიენტაცია, ოჯახური ურთიერთობები, პოზიციები დატოვებულ ოჯახებთან), ვიდრე პროფესიულ-შემოქმედებით მიმართულებებში, რადგან პიროვნული იდენტობის ემოციურ-გრძნობად სფეროში გაცილებით მეტია კულტურული მახასიათებლების შენახვისა და ნაციონალური იდენტობის დაცვის ხარისხი, ხოლო პროფესიულ-შემოქმედებითი სფერო უფრო სწრაფად ეგუება რეალობას, უფრო სწრაფად იღებს სიახლეებს.**

ზოგადად, საზოგადოებრივი განვითარება საჭიროებს ტოლერანტულ მიდგომას და უცნობი კულტურული სივრცის მიმდებლობას. კულტურათაშორისი დიალოგის აუცილებლობა და მისთვის მზადყოფნა მოიცავს უცხო კულტურული პრაქტიკებისა და ქცევების შესწავლას, რათა გარანტირებული იყოს საზოგადოებაში ურთიერთგაგება. ამ დროს პიროვნული თუ საზოგადოებრივი ცვლილებები განიხილება, როგორც კულტურული იდენტობის ხელახალი განსაზღვრა, იდენტობის რეკონსტრუქცია.

ინტერკულტურულ-მიგრაციული ლიტერატურა, ნომადიზმის დისკურსი არის იმ კულტურული კონსტრუქციების, სოციოკულტურული ინტერაქციების შედეგი, რაც იქმნება მშობლიურისა და ახლის შეხვედრის შედეგად. ის არის რეალური მოცემულობა, რომელიც სრულიად ძალდაუტანებლად, ავტომატურად ასახავს პლურიკულტურულ პრობლემებს, რომელთა შორის დღეს მნიშვნელოვანია იდენტობათა რეკონსტრუქციებისა და ალტერნატივების ძიების პროცესები.

ამიტომაც, დღეს ძალიან მნიშვნელოვანია გავიაზროთ „ახალი Weltliteratur“-ისა და, შესაბამისად, ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობის, ასე ვთქვათ, „ვარგისიანობა“ ნაციონალური ენერჯის განვითარებისათვის, განსაკუთრებით, ეროვნული ხასიათის გლობალურ-მიგრაცი-

ულ პროცესებთან ადაპტაციისათვის, ალტერნატივათა მრავალრიცხოვნობაში საერთო აზრის ჩამოსაყალიბებლად, თუნდაც მიგრაციული პროცესების სწორად, ადეკვატურად შეფასებისათვის.

#### დამოწმებანი:

- Bhabha, H. K. *The Location of Culture*. London: Routledge, 1994.
- Ette, O. *Zwischen Welten Schreiben. Literaturen ohne festen Wohnsitz* (ÜberLebenswissen II). Berlin: Kadmos, 2005.
- Gamsakhurdia, Vl. *Kartvelta Etnik'uri Ident'obis Asp'ektebisa da St'rukt'uris Q'vleva Modernul K'ont'ekst'shi*. 2016 (გამსახურდია, ვლ. *ქართველთა ეთნიკური იდენტობის ასპექტებისა და სტრუქტურის კვლევა მოდერნულ კონტექსტში*. 2016. [shorturl.at/jltQ5](http://shorturl.at/jltQ5))
- Jaliashvili, M. „Sitsotskhilis Maradisoba“. *K'rit'ik'a*, 17. Tbilisi: Tsu gamomtsemloba, 2022 (ჯალიაშვილი, მ. „სიცოცხლის მარადისობა“. *კრიტიკა*, 17. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2022, გვ. 67-74).
- Kartosia, Al., Chitauri, N., Shamanadze Sh., [...]. *Kartuli Mts'erlobis Int'erk'ult'uruli Modeli da Natsionaluri Ident'obis P'roblema*. Tbilisi: gamomtsemloba “meridiani”, 2016 (კარტოზია, ალ., ჩიტაური, ნ., შამანაძე შ. [...]. *ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი და ნაციონალური იდენტობის პრობლემა*. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016).
- Lashkhi, L. „*Jak'lini*“. Tbilisi: “Bak'ur Sulak'auris gamomtsemloba, 2019 (ლაშხი ლ. „*ჯაკლინი*“. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2019).
- Robakidze, Gr. *Chemtvis Simartle Q'velaperia*. Tbilisi: gamomtsemloba “jek'-servisi”, 1996 (რობაკიძე, გრ. *ჩემთვის სიმართლე ყველაფერია*. თბილისი: გამომცემლობა „ჯეკ-სერვისი“, 1996).
- Schlögel. *Die Mitte liegt ostwärts*. Europa im Übergang. Frankfurt a.M. 2008.
- Skhirt'ladze, N. *P'irovnuli Ident'obis Chamoq'alibeba Kartul K'ont'ekst'shi. Raodenobrivi da Tvisibrivi Midgoma*. Tbilisi: Ilias sakhelmts'ipo universit'et'i, 2015 (სხირტლაძე, ნ. *პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბება ქართულ კონტექსტში. რაოდენობრივი და თვისებრივი მიდგომა*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015, <https://shorturl.at/cfqLU>)
- Tsitsishvili, M. *Atas Erti Dilidan*. Tbilisi: gamomtsemloba “int'elekt'i”, 2021 (ციციშვილი მ. *ათას ერთი დილიდან*. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2021).

Natela Chiauri  
Shorena Shamanadze  
(Georgia)

## Reconstructions of Identities and Looking for Alternatives in Georgian Intercultural-Migration Texts

### Summary

**Key words:** world literature, identity, migration, alternatives, gender.

The challenges of the modern global world primarily are reflected on identities. Texts written under situations of migration while living abroad are especially significant in light of the diversity of identities that exist today.

A survey of the last twenty years' European debate on migration literature reveals a wide range of definitions for this genre. It has been referred to as "New Weltliteratur" more and more recently.

The primary justification for referring to migration literature as the "New Weltliteratur" is its relation to the realities of daily life in the globalized world, as evidenced by the actual contexts of intercultural and multilingual connections. At the same time, texts produced abroad are largely responsible for creating the central component of "New Weltliteratur"—the intercultural "third space."

The works written by Georgian authors abroad or on migration-related subjects are referred to by our scholarly group as **Georgian intercultural-migration literature**. The third space of this writing, as a national expression of the "New Weltliteratur", creates a new reality every day, and it is important to start researching it today.

Comparative literary studies no longer adequately capture the caliber of Georgian intercultural-migration writing, particularly when it comes to the investigation of identity reconstructions and the quest for alternatives. A new field of study is emerging that uses an interdisciplinary research style, contemporary theories, and a contextual (systematic and empirical) methodology. We employ the "socio-literary study" methodology that we devised for this piece, which suggests activating several avenues such as ethnic, religious, linguistic, social, gender, professional, self-actualization, and self-realization.

Identity is constructed from the sum of its parts. Emotional issues such as love, partner selection, marriage, and sexual orientation are increasingly being openly debated in relation to identities, in addition to national, social, and professional elements.

The feminine discourse and the family story, which have been reinforced by the "mobile" and migratory nature of today's world, are what particularly stimulate the processes of identity reconstruction and search for alternatives in the "New Weltliteratur". The majority of "Movement" writers and characters are female. The issue of women's self-identification as writers and characters is currently the most significant theme of "New Weltliteratur", with the historical notion of "femininity" being enhanced by cross-cultural models.

Georgian intercultural-migration literature reflects the realities of today: women became more active thinkers and began to battle for their own independence and self-identification as a result of nomadism and the "movement" environment. In today's world, women are more critical of their inherited and acquired identities than men are; they strive to make decisions quickly; if the identity she had previously chosen becomes less valuable, she will have to accept her new identity from people around her. With entirely distinct themes from the national ones, the family, biographical, and gender narratives in this literature were burdened by migrations and associated issues (such as the dissolution of the family institution).

Therefore, the field that most realistically and actively presents the "moving" (complicated, double, triple, hybrid, new) identities of migration and the global world, as well as the identity seeking processes, is Georgian intercultural-migration writing. The "made-in-place" writing does not have the multitude of accents and circumstances (imagological narrative, dominant cultural memory, psychological, personal identities "tied" to the "movement") that are present in this writing.

This writing captures the shifts that present new models and paradigms for perception of the contemporary world and other cultures. It also reflects the reasons for migration, which are associated with a personal identity crisis in the place of origin (negative emotions, a never-ending and hopeless search for alternatives), and which led to the perception that migration was preferable.

The modern Georgian intercultural-migration writing is included in the "New Weltliteratur" by presenting this discourse from a complex, intercultural perspective while retaining very interesting national aspects – such as the 1990s paradigm, internal and external migration, post-Soviet events, and the distinctive characteristics of Georgian mentality (collectivist mentality).

This literature poses a number of queries:

– What alternatives are available to those who had gone abroad? Can they fully express themselves both creatively and professionally, as well as on a sense-emotional level?

– Is there a negative attitude against any symbols of national identity or Western values? What should we try to "forget" and what should we acknowledge as a fact of life and a challenge?

– How can "identity capital" be strengthened? In what areas of family dynamics – parenting styles, cultural norms and sociopolitical circumstances – is intervention necessary?

Georgian intercultural-migration writing reflects not only local problems, it includes a lot more tools to demonstrate the processes of reconstructing identities, redefining national and ethnic identities, defining new identities, and searching for alternatives. It also deconstructs national narratives and national stereotypes. Compared to "made-in-place" writing, this literature adapts to the difficulties of modernity far better.

We explore the texts of two authors in this article: Lela Lashkhi (2019), who lives in France, and Maya Tsitsishvili (2021), who lives in America.